ორშაბათი 20 აპრილი · № 215.

წელიწადი მეხუთე.

ფასი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 25 კ., საზღვარ-გარედ ორჯერ მეტი.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ., ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

თემი

№ 215. ორშაბათი 20 აპრილი

წელიწადი მეხუთე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. რედაქციის კონტორის ბინა: ოლგას ქ., სახლი დიასამიძისა, № 4.

ტელეფონი 6-60.

1911—1915 წ. საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით. 1911—1915 წ.

თბილისში „თემის“ ზომის ქაღალდის გამოლევის გამო დღევანდელი №-ი იბეჭდება ამ ფორმატის ქაღალდზე.

ახალი კლუბი

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

აჩვენებენ თეატრ კინო-პალასის

სინემატოგრაფის საშუალებით სხვა და სხვა სურათებს.

დასაწყისი საღამოს $7_1/^2$ საათზე.

ეოველ ღამ უკრავს სიმებიანი ორკესტრი

ს. ი. ჰრესმანის ლოტბარობით.

სამხედრო ქუჩის და გოლოვინის პროსპექტის კუთხეში ფოსტის სახლის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

ჰროვიზორ ვარლამ ახვლედიანისა.

აკაკის სამგლოვიარო კრებული

აკაკის სამგლოვიარო კომიტეტების შეერთებულ კრებაზე გადასწყდა, გამოიცეს აკაკის სამგლოვიარო კრებული. ამისთვის არჩეულ საგანგებო კომისიაში მოჰყვნენ: გრიგოლ დიასამიძე, სამსონ ფირცხალავა, პავლე საყვარელიძე, ექიმი ვ. ღამბაშიძე, ი. გოგოლაშვილი და მ. წულუკიძე. ამ კომისიამ უკვე დაამთავრა მასალების შეკრება. სარედაქციო კომისია ამ დღეებში დაასრულებს მასალების დამუშავებას. კრებულის ბეჭდვას მაისის პირველ რიცხვებიდან წყებენ გამოვა მაისის ბოლო რიცხვებში. წიგნში განზრახულია შემდეგი განყოფილებანი: წინასიტყვაობა, აკაკის ბიოგრაფია, აკაკის ავადმყოფობის ისტორია, აკაკის უკანასკნელი წუთები, გარდაცვალება, გარდაცვალების შემდეგ პირველი დღეები; რა ხდებოდა საჩხერეში, თბილისში და სხვა ქალაქ-დაბა-სოფლებში, აკაკის გამოსვენება საჩხერედან საჩხერედან თბილისამდე, აკაკის ჩამოსვენება თბილისში და გადმოსვენება ქვაშვეთის ეკლესიაში, დასაფლავების წინა დღეები, დასაფლავება, ორმოცი; წიგნში აგრეთვე მოთავსებული იქნება თბილისის, ქუთაისის და საჩხერეს კომიტეტების ისტორია და მოქმედება, საუკეთესო სიტყვები წარმოთქმული აკაკის ცხედრის წინაშე და საუკეთესო წერილები, საყურადღებო დეპეშები, ლექსები და წერილები, აგრეთვე მიმოხილვა დაუბეჭდავ დეპეშების, ლექსებისა და წერილებისა, და სხვ. წიგნში ჩართული იქნება 50 სურათამდე, წიგნი დაახლოვებით 500 გვერდზე მეტი ზომისა იქნება. კომიტეტმა საჭიროდ დაინახა, წიგნს უმცირესი ფასი დაადვას, რათა ამით აუარებელ მსურველთა უღარიბეს ნაწილს შეძლება მიეცეს უძვირფასეს ადამიანის სახსოვარ კრებულის შეძენისა. დაწვრილებით შინაარსი ცალკე იქნება გამოცხადებული. აგრეთვე წინდაწინ გაიმართება ხელის-მოწერა, რის შესახებაც განცხადება თავის დროზე იქნება დაბეჭდილი „სახალხო ფურცელში“, „ახალ აზრში“, „თემში“, „შადრევანში“ და სხვა ქართულ დრო-გამოშვებით გამოცემებში

ქაღალდის სიმშილი.

მეტად ძნელ მდგომარეობაში ჩავარდენ თბილისის ის გამოცემები, რომელთაც დასაბეჭდად მომზადებული ქაღალდი გამოელიათ. არც ერთ საქაღალდო მაღაზიასა თუ საწყობში თბილისში ამ ჟამად არ იშოვება საგაზეთო ქაღალდი. მდგომარეობა ისეთია, რომ შესაძლებელია, თუ ამ მოკლე ხანში თბილისის საწყობებმა ვერ მოახერხეს საგაზეთო ქაღალდის შემოტანა, ბევრი გამოცემა უსათუოდ გამოგვესალმება დროებით, ვიდრე საჭირო ქაღალდი არ გაჩნდება ხელ-ახლა აქაურ საწყობებში. სწორედ გასაკვირალია, რომ აქაურმა რედაქციებმა ვერ მოახერხეს საერთო საშუალების გამოძებნა, რომ ასეთი მარცხი არ დაჰმართნოდა ზოგიერთ მათ მოძმეს. ამისათვის საჭირო იყო სათანადო შუამდგომლობის აღძვრა, რომ რედაქციებისათვის ან საქაღალდო საწყობებისათვის ვაგონები მიეცათ დაუყონებლივ ქაღალდის მოსატანად. ერთი ასეთი ცდა იყო, მართალია, მაგრამ, რადგანაც ვერ იყო კარგად გაწყობილი, ამიტომ მოსალოდნელი შედეგი ვერ მოჰყვა. საჭიროა ხელ-ახლა შეიკრიბონ იმ გამოცემათა წარმომადგენლები მაინც, რომელნიც უკიდურესად განიცდიან ქაღალდის მხრით გაჭირვებას.

საზოგადოდ, უკანასკნელ ორ-სამ თვეში საგაზეთო ქაღალდი მეტად გაძვირდა თბილისში, როგორც ბევრი სხვა სავაჭრო და პირველ მოთხოვნილების საგნები. მაგალითად, ჩვენ „თემის“ ზომის ქაღალდში წინანდელ 3 მან. 60 კაპ. მაგიერ ვაძლევდით რვა მანეთამდის. ისიც გვიხდებოდა დიდი ფორმატის ქაღალდის ყიდვა და მერე მოჭრა „თემის“ ზომაზე. დიდმა ზარალმა აიძულა ზოგიერთი ადგილობრივი ყოველდღიური გამოცემები, შეთანხმება მოეხდინათ და ფასი აეწიათ თითო ნომრისა იმასთან შედარებით, როგორც საზოგადოდ მიჰქონდათ მეგაზეთეებს გასაყიდად, მაგრამ ამ შეთანხმებამ მეგაზეთეების გაფიცვა გამოიწვია და შეთანხმებული რედაქციები იძულებული გახდენ ისევ ძველ წესზე დარჩენილიყვენ. ეს, სიმართლე უნდა ითქვას თავიდანვე შემცდარი გზა იყო. რედაქციები ზარალს მაინცა და მაინც ვერც აინაზღაურებდნენ და ისედაც ხანყინვისა და ხანსიცხისაგან გაჭირებულ გაზეთის გამყიდველებსაც მოიმდურებდნენ. საჭიროა გაიმართოს თათბირი თბილისის ყველა დრო-გამოშვებით გამოცემების წარმომადგენლებისა, ეროვნების განურჩევლად, რასაკვირველია, იმ საკითხის განსახილველად, თუ რა ზომების მიღება არის საჭირო დღევანდელ პირობებისაგან გამოწვეულ ბეჭდვის ზედმეტი ხარჯის შესამცირებლად. ასეთი თათბირი, უეჭველია, გამოსძებნის ისეთ გზას და ისეთ საშუალებას, რომელიც არ დასჩაგრავს ბეჭდვით საქმეში მომუშავე მუშა ხალხს და არც დაამძიმებს საგამოცემო ბიუჯეტს.

ჩვენ გვწამს, რომ თათბი-რი ასეთ სასარგებლო ზოგებზე მიგვითითებს.

ასეთ ქცევას ჩვენ დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა გვიკარნახებს და ნუ თუ იმდენი გამჭრიახობა არა გვაქვს, რომ საერთო რამ ვიღონოთ ამ ეკონომიურ მხარის გამოსაწყობად მაინც?

სასურველია, თბილისის გამოცემები ამ საკითხს მიაქცევდენ ჯეროვან ყურადღებას.

გრიგოლ დიასამიძე.

თბილისი, 20 აპრილი

იყო დრო, როცა **პარტიობა** დიდ მოდაში გახლდათ, ყველას ენაზე ეკერა. ყველა ეწერებოდა რომელსამე პარტიაში და ამ პარტიის წევრობით მოჰქონდა თავი. იმ დროს ხშირად თავის პიროვნებაც მივიწყებული ჰყავდათ. მაგრამ დრო ხომ ცვალებადია!... ცხოვრებამ ფერი იცვალა. „პარტიობას“ ყველა გაურბის და ესწრაფის თავის თავი „დამოუკიდებლად“, „თავისუფლად“ გამოაცხადოს. ამ მოვლენამ ისეთი ეპიდემიური ხასიათი მიიღო, რომ უნებლიედ უნდა ჩამოვაგდოთ მასზე ლაპარაკი. რასაკვირველია, ჩვენ არასფერს ვიტყოდით, რომ „უპარტიობა“ ჩვენში არ ნიშნავდეს პრინციპებზე ხელის აღებას. საუბედუროდ ჩვენში „უპარტიობა“ სწორედ ასე ესმით: როგორც „უპრინციპობა“. ეს სრულიებით სწორე არ არის!... ყოველ შეგნებულ კაცს, წევრს საზოგადოებისას, მით უფრო საზოგადო სარბიელზე გამოსულს, უეჭველად უნდა ჰქონდეს ცოტად თუ ბევრად შემუშავებული სოციალური და პოლიტიკური მსოფლმხედველობა ამ მსოფლ-მხედველობის თანახმად უნდა სჯიდეს და ჰმოქმედებდეს მიუხედავად იმისა, ეკუთვნის იგი თუ არა ამა თუ იმ პარტიას. ეს არის სავალდებულო კათეგორიული იმპერატივი, რომელსაც ვერ გაექცევა ვერც ერთი თავის-თავის პატივისმცემელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

შეთვისებული მსოფლმხედველობა უკარნახებს მას საყოველდღეოდ, თუ როგორ უნდა მსჯელობდეს და იქცეოდეს საზოგადო, თუ კერძო ცხოვრებაში. ამგვარად პარტიული მოღვაწეობა ყოველთვის ჰგულისხმობს პრინციპების თანახმად მუშაობას. ეს არის ერთგვარი გონებრივი და ზნეობრივი დისციპლინის შემქმნელი წრე. ბევრი ვერ იტანს ასეთ მწყობრ, ასეთ დალაგებულ მოქმედებას და ამიტომ ვერ ეგუება პარტიულ ცხოვრებას, გამოდის პარტიიდან. ამის შემდეგ პარტიიდან გამოსული, როგორც კი თავისუფალი ხდება, ადვილად ჰღალატობს მსოფლმხედველობისაგან ნაკარნახევ პრინციპებს და თანდათან შორდება წინანდელ გზას. რასაკვირველია, ეს ემართება ისეთ ადამიანს, რომელიც თვითონ არის მოკლებული შინაგან დისციპლინას და ამიტომ სჭირდება მას გარეგანი ამგვარი ზე-გავლენა. მაგრამ არიან ისეთი პირებიც, რომელთაც განვითარებული აქვთ საკმაოდ ძლიერად ეს ხარე და ამიტომ იმისდა მიუხედავად, ითვლებიან ისინი თუ არა ფორმალურად ამა თუ იმ პარტიაში, ყოველთვის თავის მოქმედებას უფარდებენ განსაზღვრულ მოძღვრების, ან მსოფლმხედველობის უმთავრეს სავალდებულო პრინციპებს. რადგანაც ასეთი პირები მრავლად არ მოიძებნება ქვეყანაზე, ამიტომ პარტიათა არსებობა აუცილებლად საჭირო ხდება. მეტადრე ეს იქ არის საჭირო, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება საკმაოდ ძლიერი არ არის. ამისთანა ადგილებში პარტიები უნდა სცდილობდენ დიდის სიფრთხილით მოქმედებას, რომ პიროვნებას თაოსნობა არ მოუსპონ და არ დაუხშონ პირადი შემოქმედების ნიჭი. ერთი სიტყვით მათი საქმე აღზრდაა საზოგადოებრივი ელემენტებისა. ეს არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეთ პარტიის მეთაურებს. გადალახვას პარტიებისათვის შემოფარგლულ წრისას შედეგად დიდი ვნების მოტანა მოსდევს საზოგადოებისა და ხალხისათვის. ამიტომ ბევრი პარტია ჰკარგავს თავის გავლენას და სახელს, უკეთუ წვრილმანობასა და უსაფუძვლო კინკლაობაში ეფლობა. პარტიას თავის დროშა ყოველთვის მაღლა და უმწიკვლო ხელით უნდა ეჭიროს და მაშინ მხოლოდ დაიმსახურებს იგი არა თუ მომხრეების, არამედ მოწინააღმდეგეების პატივისცემას. რომ პარტიები ყოველთვის ღირსეული ხელმძღვანელები იყვენ ხოლმე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ამისთვის საჭიროა მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი, რომელიც ვამოიხატება ძლიერ **საზოგადოებრივ აზრის** შექმნაში. ეს საზოგადოებრივი აზრი არსებობს ყოველთვ ს ნორმალურად განვითარებულ საზოგადოებაში, რომელსაც არა აქვს აშორებული ცხოველმყოფელი საქმიანობა. იგი ჩნდება პარტიათა გარეშე, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, ზე-პარტიულია, ესე იგი, იქნება კიდეც ჩნდება რომელსამე პარტიაში, მაგრამ იმდენად ძლიერია, იმდენად სამართლიანია, იმდენად უმწიკვლოა, რომ მისი გაგება და შეთვისება არ შეუძლია პარტიის გარეშე მდგომსა ან სხვა პარტიის წევრსაც.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქმნება ნამდვილი საზოგადოებრივი აზრი, მხოლოდ ასეთ პირობებში წესიერად ვითარდება ხალხი. ოდნავი ღალატიც ამ გზისა აჩენს მრავალ სენს, რომელიც აუძლურებს ერის საზოგადოებრივს ორგანიზმს. ასეთ ძლიერ ფაქტორის—საზოგადოებრივი აზრის—შექმნას უნდა ემსახურებოდეს ჩვენში ყველა, ცალკე მოღვაწე იქნება იგი, პოლიტიკური პარტია, თუ საზოგადოებრივი ჯგუფი. თუ ასეთი საზოგადოებრივი კონტროლი გვექმნა, მაშინ ველარავინ ვერაფერს ცუდს ვერ გაბედავს, საზოგადო ცხოვრებისათვის მაენებელს, და თუ გაბედავს ჭეშმარიტი საზოგადოებრივი აზრი მას ბალე გარიყავს საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობიდან..

შეცდომის გასწორება შესაძლებელია ჯერ კიდევ.

ზოგჯერ მოხდება ხოლმე, დიდი საქმე სრულებით გაწყობილად მოსჩანს, კიდეც სამოქმედოდ ამოძრავებულია, მაგრამ საქმის დამწყებთ დაჰვიწყებიათ პატარა რამ, სულ უმცირესი და დიდი საქმეც სულ მთლად იშლება.

სწორედ ასე დაემართა ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანთა დაახლოვების საქმესაც. არის თანხმობა მათ შორის, უდიდესი სურვილიც, მაგრამ რაღაც მცირე რამ კი უშლის დიადი საქმის დამთავრებას.

მაგრამ რად უნდა არსებობდეს ეს პატარა მიზეზი, როდესაც ორივე ძმას ერთად უცხოვრიათ, ერთად უტანჯნიათ წარსულში, ყოველთვის ერთს ენაზე ულაპარაკნიათ, ერთს მიწა-წყალზე უცხოვრნიათ და ერთი ჰაერით ესუნთქვიათ?...

მსურს ცოტაოდნად მაინც შევეხო იმას, თუ როგორ შეიძლება ეს მცირე მიზეზი ავიშოროთ თავიდან და ყოველივე ღონე ვიღონოთ, რომ სრული კულტურული ერთობა და ნამდვილი ძმობა დავამყაროთ ერთი მშობელი ოჯახის ორივე წევრის შორის.

ყოველ შეგნებულ ქართველისათვის სიტყვა **ქართველი** ნიშნავს ქართველი ერის შვილს სარწმუნოების განურჩევლად, ხოლო, სამწუხაროდ ქართველ მაჰმადიანთა წრეში სიტყვა **ქართველი** უდრის უეჭველად ქრისტიანს.

ზოგიერთები, რომელთაც არა სურთ, რომ ქართველი მაჰმადიანები ჰგრძნობდენ თავიანთ თავს ნამდვილ ქართველებად, ისინი სარგე-

ბლომად ამ შემცდარი შეხედულებით და ეუბნებიან ქართველ მაჰმადიანებს: ქართველ ქრისტიანებს სურთ თქვენ რჯული გამოგაცვლევინონო. ამ მიზეზის გამო დამფრთხალ ქართველ მაჰმადიანებს აქამდის ეშინიათ თავის თავს ქართველი უწოდონ, თუმცა თავიანთი თავი ბურჯებათ მიაჩნიათ.

ეს მოვლენა დამახასიათებელია არა მარტო იმ ქართველ მაჰმადიანთათვის, რომელნიც რუსეთის საზღვრებში სცხოვრობენ, არამედ იმათთვისაც, რომელნიც ბინადრობენ ოსმალეთში.

ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქართველ ინტელიგენციის მხრით, რომ ქართველ მაჰმადიანებს გააგებინონ თავიანთი წმინდა გულისწადილი, რომ ქართველობა და ქართველი ერის ინტერესი სრულებით არ მოითხოვენ მათი რჯულის გამოცვლას.

კიდევ ერთ შეცდომაზედ უნდა მივუთითოთ, რომელსაც ქართველი ქრისტიანები სჩადიან თავიანთ მაჰმადიან ძმების წინაშე. ისინი ამათ **თათრებს** უძახიან.

ვინც გაცნობილია გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, იმან კარგად იცის, რომ თათრები არიან ისინი, რომელნიც ყირიმში და ყაზანის გუბერნიაში სცხოვრობენ. ისტორიიდანაც იციან მათ, რომ მუდამ შულლი და მტრობა ჰქონდათ ამ თათრებს ოსმალებთან.

რად უნდა ეძახდენ ქართველი ქრისტიანები ქართველ მაჰმადიანებს თათრებს, როდესაც იმათ ამ უკანასკნელებთან არაფერი საერთო არა აქვთ, გაოდა რჯულისა. როდესაც ეკითხავენ ქართველ მაჰმადიანს: თქვენ ვინა ხართ, ქართველი, თუ თათარო, იმას ჰგონია, რომ შემკითხველი მას რჯულის შესახებ ეკითხება, ე. ი. ქრისტიანი ხარ, თუ მაჰმადიანი. ამიტომაც ის ყოველთვის პასუხად იძლევა: ქართველი კი არა, თათარი ვარო.

თუ ქართველ მაჰმადიანს, აჭარელი იქნება, ქობულეთელი, თუ ან სხვა რომელიმე კუთხის მცხოვრებელი, ჰკითხეთ: არაბია იგი, თურქია, ქურთი, თუ გურჯი, იგი უსათუოდ გიპასუხებთ: მე გურჯი ვარო.

როდესაც ქართველი საზოგადოების მეგნებული ნაწილი შეეცდება ყოველივე საშუალებით გაჰფანტოს ეს გაუგებრობა, მაშინ, უეჭველია, გაჰქრება ის ნისლიც, რომელიც თითქოს ჰბურავს ქართველი ერის ქრისტიან და მაჰმადიან შვილების ძმურ ურთიერთობას. უკანასკნელმა ამბებმა უფრო დააახლოვეს ისინი და უკვე სჩანს ნიშნები, რომ სრული თანხმობა და ნამდვილი ამობა მკვიდრდება.

ექ. ჰასან ლორთქიფანიძე.

საგულისხმო საძმე

ივ. ევდოშვილის თხზულებათა გამოცემის გამო.

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად უწყის ადგომარეობა ჩვენი პოეტის ივანე ევდოშვილისა. ეს რამდენიმე ხანია იგი ლოგინად არის ჩავარდნილი და თავისებურად ვედარ ეპერხებს მოუაროს თავის თავს და ოჯახს. ახლა მის მეგობრებს გადუწყვეტიათ გამოსცენ მისი ნაწარმოებნი ცალკე დიდ წიგნად. წიგნში 650—700 გვერდი იქნება. მოთავსებულია დღევანდლამდე დაბეჭდილი და დაუბეჭდავი მისი ლექსები, ნოველიერები, ბიოგრაფიული ცნობანი და სურათები. წიგნი ეღირება 2 მანეთად ხელისმოწერით, გასაყიდად ჯერ არ გამოვა. ხელის-მოწერა მიიღება გაზ. „სახალხო ფურცლის“ redakciaში. მთელი შემოსავალი გადაეცემა თვით ივანე ევდოშვილს. გარდა ამისა ამ საგულისხმო საქმის დამწყებთ უკვე დაუგზავნიათ პოეტის პატივისმცემელ პირებისათვის ხელისმოწერის ბარათები, რომ ჩვენი ხალხის ფართო წრეებმა შეიძინონ მისი თხზულებათა კრებული.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხის და საზოგადოების შეგნებული ნაწილი დიდის ხალისით გამოიწერს ამ წიგნს, რათა ერთის მხრით დაიტკბოს ლიტერატურულ ესთეტიური წყურვილი, და მეორეს მხრით დაეხმაროს მწერალს გაჭირვებაში: საშუალება მისცეს საზაფხულოდ წავიდეს სადმე სამკურნალო ადგილს ჯანის მოსამატებლად. ირ. ევდოშვილის ნაწერების გამოცემა კარგა ხანია საჭირო იყო. იმ დროს, როდესაც ჩვენ გვაქვს სულ ახალგაზრდა პოეტების ლექსთა კრებულები, ჩვენ არ მოგვეძებნება აქამდინ ლექსთა თაიგული იმ სიმპატიურ პოეტისა, რომელმაც, ეჭვი არ არის, დიდი გავლენა იქონია დღევანდელ ახალგაზრდა მწერლებზე. ამ გამოცემას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ისტორიულ ლიტერატურული: ცხადად დაგვიმოწმებს ჩვენი ლიტერატურის ბუნებრივ ევოლიუციას (განვითარებას).

სრული იმედი გვაქვს ხელის-მოწერა სწრაფად განვითარდება, რადგანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ წიგნის გამოცემის ერთ-ერთ მიზანს ნივთიერი დახმარებაც შეადგენს, და ეს დახმარება მალე ესაჭიროება სიმპატიურ პოეტს.

ნიკო ლომოურის მიცვალების გამო.

† ნიკო ლომოური

მეტად სამწუხარო ამბავი მოგვივიდა გორიდან: 17 ამ თვეს გარდაიცვალა იქ ცნობილი ლიტერატორი მწერალი ნიკო ლომოური. ჩვენს მცირერიცხოვან მწერალთა გუნდს მოაკლდა კიდევ თვალსაჩინო ნამდვილი წევრი. ვისაც ერთხელ მაინც გადუკითხავს მისი საგულისხმო ნაწერები, ვინც ერთხელ მაინც დამტკბარა მისი მომხიბლავი ქართულით, ის ადვილად მიხვდება, თუ რა დანაკლისია მისი დაკარგვა ჩვენი სამშობლო ლიტერატურისათვის. მაგრამ ჩვენ ამ პატარა წერილში გვსურს აღვნიშნოთ სულ სხვა მხარე მისი მუშაობისა. ის იყო დიდებული აღმზრდელი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გამგებლობა მაშინდელ სათავადაზნაურო სკოლას—ახლანდელ ქართულ გიმნაზიას, ძლიერი სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი მოწაფეებში. მე მაშინ ყრმა ვიყავი. კარგად მახსოვს, როგორ დაღონდენ მოწაფეები, როცა გაისმა ხმა საყვარელი ნიკო (ასე სახელით ეძახდენ მას მოწაფეები) სკოლას სტოვებსო. გადავიდა თუ არა გორის საოსტატო სემინარიაში, საოცარის შორსმჭვრეტელობით შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. მას კარგად ესმოდა, რომ ვის უზრდიდა საქართველოს... სახალხო მასწავლებლებს, რომელთაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხის ცხოვრებაში. გაიხსენეთ ბისმარკის სიტყვები, რომელიც ყოველთვის აღნიშნავდა, რომ გერმანიის სიძლიერის შემქმნელი სახალხო მასწავლებელიაო. რაც კი შეიძლებოდა იმ ვიწრო ფარგლებში, რომელიც მიუჩინა ჩვენს სასიამო მწერალს სამოსწავლო ცხოკრების პირობებმა, ყველაფერი შეასრულა მან. მრავალი თაობა სახალხო მასწავლებელთა აღზარდა ნიკო ლომოურმა ამ მრავალ წელთა განმავლობაში და შეათვისებინა მათ სამშობლოს სიყვარული და გულმოდგინე სამსახური. ამიტომაც მოიხვეჭა მათ შორის სიყვარული და პატივისცემა. იყო დრო, როცა იმ მცირე უპირატესობასაც ართმევდენ გორის საოსტატო სემინარიას, რომელიც მას ჰქონდა მინიჭებული ხონის ამგვარ სემინარიასთან შედარებით სამოსწავლო პროგრამის მხრით, იყო დრო, როცა ქართული ენის და სიტყვიერების მასწავლებელის ადგილს შტატ-გარეშე აცხადებდენ, მაგრამ ნიკო ლომოური,—ეს სხვიმის მეტად მორიდებული მოკრძალებული ადამიანი, ლომებრივ შეეჭიდა ამ ცვლილების შეტანის გამზრახველებს და, წარმოიდგინეთ, ბრძოლაც მოიგო.

ასეთი ადამიანი, ასეთი სამშობლოს მოყვარული ღირსეული მამულიშვილი იყო ჩვენი დაუვიწყარი ნიკო ლომოური.

ჩვენი მწერლობის და საზოგადოებრივობის ისტორიაში მას პირუთვნელი მეისტორიენი მიაკუთვნებენ არა ერთს ფურცელს, როგორც ჩვენი სოფლად მცხოვრებ მშრომელ ხალხის ცხოვრების საუკეთესო გამომხატველს, ტკბილი ქართულის მცოდნეს და ჭეშმარიტ მოქალაქე-მამულიშვილს.

გრიგოლ დიასამიძე.

საგულისხმო საქმე

ივ. ევდოშვილის თხზულებათა გამოცემის გამო.

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად უწყის ადგომარეობა ჩვენი პოეტის ივანე ევდოშვილისა. ეს რამდენიმე ხანია იგი ლოგინად არის ჩავარდნილი და თავისებურად ვედარ ეპერხებს მოუაროს თავის თავს და ოჯახს. ახლა მის მეგობრებს გადუწყვეტიათ გამოსცენ მისი ნაწარმოებნი ცალკე დიდ წიგნად. წიგნში 650—700 გვერდი იქნება. მოთავსებულია დღევანდლამდე დაბეჭდილი და დაუბეჭდავი მისი ლექსები, ნოველიერები, ბიოგრაფიული ცნობანი და სურათები. წიგნი ეღირება 2 მანეთად ხელისმოწერით, გასაყიდად ჯერ არ გამოვა. ხელის-მოწერა მიიღება გაზ. „სახალხო ფურცლის“ redakciaში. მთელი შემოსავალი გადაეცემა თვით ივანე ევდოშვილს. გარდა ამისა ამ საგულისხმო საქმის დამწყებთ უკვე დაუგზავნიათ პოეტის პატივისმცემელ პირებისათვის ხელისმოწერის ბარათები, რომ ჩვენი ხალხის ფართო წრეებმა შეიძინონ მისი თხზულებათა კრებული.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხის და საზოგადოების შეგნებული ნაწილი დიდის ხალისით გამოიწერს ამ წიგნს, რათა ერთის მხრით დაიტკბოს ლიტერატურულ ესთეტიური წყურვილი, და მეორეს მხრით დაეხმაროს მწერალს გაჭირვებაში: საშუალება მისცეს საზაფხულოდ წავიდეს სადმე სამკურნალო ადგილს ჯანის მოსამატებლად. ირ. ევდოშვილის ნაწერების გამოცემა კარგა ხანია საჭირო იყო. იმ დროს, როდესაც ჩვენ გვაქვს სულ ახალგაზრდა პოეტების ლექსთა კრებულები, ჩვენ არ მოგვეძებნება აქამდინ ლექსთა თაიგული იმ სიმპატიურ პოეტისა, რომელმაც, ეჭვი არ არის, დიდი გავლენა იქონია დღევანდელ ახალგაზრდა მწერლებზე. ამ გამოცემას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ისტორიულ ლიტერატურული: ცხადად დაგვიმოწმებს ჩვენი ლიტერატურის ბუნებრივ ევოლიუციას (განვითარებას).

სრული იმედი გვაქვს ხელის-მოწერა სწრაფად განვითარდება, რადგანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ წიგნის გამოცემის ერთ-ერთ მიზანს ნივთიერი დახმარებაც შეადგენს, და ეს დახმარება მალე ესაჭიროება სიმპატიურ პოეტს.

ნიკო ლომოურის მიცვალების გამო.

† ნიკო ლომოური

ნიკოლოზ იოსების ძე ლომოური დაიბადა 1852 წელს თებერვლის 19-ს შუა ქართლის სოფელ არბოში, რომელიც მდებარეობს მთის ძირას დიდი და პატარა ლიახვის შუა, პაწია მდინარე ლიახვის ტოტის დიცურას ნაპირზე და სადაც მხოლოდ ოცდაათ კომლამდის ირიცხება მცხოვრები—უმეტესად გლეხობა.

ნიკოს მშობლები მამა იოსები და დედა ეფემია, გვიმრაძის ასული არბოში დიდი ხნიდანვე მცხოვრებ ოჯახების შვილები იყვენ. მამა მისი იოსები არბოელი მღვდელი იყო და მთლად თავის ხასიათის წყალობით პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული გლეხობაში. ამიტომ მისი შვილი პატარა ნიკოსათვის მუდამ ღია იყო გლეხკაცის ოჯახის კარი. ყველგან ის სასიამოვნო სტუმარი იყო. დიდის სიყვარულით და ალერსით ხვდებოდენ. თანდათან მომავალმა მწერალმა შეისწავლა გლეხის ცხოვრება მთელი მისი სიგძე-სიგანით, მთელი მისი ავ-კარგიანობით. არაფერი არ გამოეპარებოდა ხოლმე მას. ამ ცხოვრების შესწავლა და დაკვირვება მერე გამოადგა ახალგაზრდა ნიკოს, როცა წერის სურვილი აეშალა.

ჯერ პირველად ქართული წერა-კითხვა დედისაგან ისწავლა პატარა ნიკომ და შემდეგ ის გორში ჩაიყვანეს და მიაბარეს სასულიერო სასწავლებელში. ეს დრო მეტად ცუდი წამი იყო ნიკოს ცხოვრებაში. მაშინდელი ეგზარხოსი რაღაზედაც გაურისხდა მამამისს და ჩამოართვა სამრევლო. ამიტომ დიდ სიღარიბეში ჩავარდა თვითონ და თავის ოჯახიც ჩაიყოლია. იმ დროს პატარა ნიკოს რომ მშველელად არ გასჩენოდა მისი უფროსი ძმა, თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი, ახლანდელი დეკანოზი მ. ივანე ლომოური, ის უეჭველად სწავლა-განათლებას იქნებოდა მოკლებული. ძმამ ნიკო გადიყვანა თბილისში. აქ სასულიერო სასწავლებელში, როდესაც ნიკო მეოთხე კლასში გადავიდა, იგი გახდა განსვენებულ ცნობილ პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მოწაფეთ. დაუვიწყარმა იაკობმა დიდი გავლენა იქონია თავის ახალგაზრდა შეგირდზე და შეაყვარა ილია ჭავჭავაძის თხზულებანი. სემინარიაში გადასვლის შემდეგ ნიკოს მასწავლებელნი იყვნენ განსვენებული ნიკო ცხვედაძე და პატივცემული გიორგი იოსელიანი, რომელიც ახლა მასწავლებლობს ხაშურის გიმნაზიაში. ამათ დიდი ხელმძღვანელობა და მფარველობა გაუწიეს.

ამ დროს ნიკო შეუდგა გულ-მოდგინედ რუსულ ლიტერატურის შესწავლას. განსაკუთრებით გატაცებული იყო ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, [illegible] ტნიკოვის და გლებ უსპენსკის ნაწერებით. ამ მწერლების წყალობით მან შეიმუშავა სოციალური მსოფლმხედველობა და მიემხრო ეგრედწოდებულ ხალხოსნობას („ნაროდნიჩესტვოს“), რომლისთვისაც სიკვდილამდის არ უღალატნია.

მწერლობა ნიკო ლომოურმა ლექსის წერით დაიწყო. სერგეი მესხმა დაუბეჭდა „დროებაში“ ლექსი „სიონის ტაძარს“. „დროებაშივე“ იბეჭდებოდა მისი კორესპონდენციები „ხმა პროვინციიდამ“. ფანამშრომლობდა აგრეთვე „მნათობშიაც“. სემინარიაში ყოფნის დროს მან დასწერა ისტორიული პოემა „იულონ ბატონიშვილი“. მწერლის სახელი გაუვარდა ახალგაზდა ნიკოს, მაგრამ მწერლის ნამდვილი სახელი მას ამ ნაწერებმა კი არ შესძინეს, არამედ იმ მოთხრობებმა, რომელიც მან დასწერა შემდეგ. სემინარია ნიკომ გაათავა 1875 წელს და კიევის აკადემიაში შევიდა; აკადემიაში ისტორიულ ნაწილზე ჩაეწერა. აკადემია გაათავა 1881 წ. კიევიდან „დროებაში“ ჰგზავნიდა კორესპონდენციებს „ხმა მონასტრიდამ“, რადგანაც აკადემია მოთავსებული იყო „ძმათა მონასტრის“ შენობაში. კიევში მან დასწერა ცნობილი მოთხრობა „ალი“, რომელმაც დიდი სახელი გაუთქვა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ არა ნაკლებ ცნობილი მოთხრობა დასწერა „პატარა ქაჯანა“. ამ დროს ის უკვე სათავადაზნაურო სკოლის ახლანდელ ქართულ გიმნაზიის ინსპექტორად იყო.

ოცდახუთი წლის წინად ის დანიშნეს გორის საოსტატო სემინარიაში ქართული ენის მასწავლებელად. ამ თავის ახალ მოვალეობის აღსრულებას დიდის გულმოდგინებით შეუდგა. ქართული ენის სწავლება დააყენა სასურველ ნიადაგზე. მომავალ სახალხო მასწავლებლებს შეაყვარა სამშობლო ლიტერატურა. სწრთვნიდა და უსწორებდა ნაწერებს ახალგაზრდა მოწაფეებს, რომელთაც წერის ნიჭი ეტყობოდათ. ზოგი მათგანი ახლა უკვე ცნობილი არიან როგორც მწერალნი.

ნიკო ლომოურს ჩამოთვლილ თხზულებათა გარდა, დაწერილი აქვს მოთხრობები „ბედი უბედურთა“, „ქრისტიანი ლეკები“, „გიგო ღრუბელაშვილი“, „სამფეხა ამირანი“, „ბერუა ქრისტესიაშვილი“, „ყოვლის მხრიდან“ და სხვ.

სასურველია, ყველა მისი ნაწერები გამოიცეს ცალკე წიგნად.

ნიკო ლომოური ითვლებოდა ქართულის კარგ მცოდნედ და ტკბილ მოსაუბრედ. მისი მომხიბლავი საუბარი თბილისის საზოგადოებამ მოისმინა 8 მარტს „აკაკის დღლაზე“ როდესაც მან თავისებური ლამაზი ენით გვიამბო დიდი პოეტის შესახებ თავის „მოგონებანი“.

ნიკო ლომოურის მეუღლე სოფიო ალექსის ასული— ცნობილ ექიმ განსვენებულ ნიკო ხუდადოვის დაა.

განსვენებულ ნიკოს დარჩა სამი შვილი: ორი ქალი და ერთი ვაჟი. უფროსმა ქალმა თამარმა პეტროგრადის უმაღლესი კურსები დაამთავრა და ამ ჟამად მასწავლებელია ქართულ გიმნაზიაში, თანამშრომლობს ჟურნალ „ნაკადულში“. მეორე ქალი ნინო ათავებს პეტროგრადში უმაღლეს კურსების იურიდიულ ნაწილს, ვაჟიშვილი იულონი კი—აგრონომია და გამწესებულია ამ ჟამად ამ თანამდებობაზე ბორჩალოს მაზრაში სოფელ ვორონცოვკაში.

ლაშარის ჯვრის გამო

(წერილი redakciის მიმართ).

„სახალხო ფურცლის“ № 258-ში, ამ წლის აპრილის 15, მოთავსებული იყო [illegible] „[illegible] [illegible] [illegible] [

ლოს; ეს გზა არ არის ძნელი სავლელი, თუმცა სულ მაღლა-მაღლა კლდე-გორებზედ გვიხდებოდა ასვლა!

შუადღისას უკვე მონასტერში ვიყავით. ეს მონასტერი სომხებისაა და ციცაბ მთაზეა აშენებული. ამ ტაძრის კარების თავზედ დაყოლიოლია ერთი ქვა, რომელზედაც შემდეგი ძნელად წასაკითხი წარწერაა, ჯერ სომხურადა და მერე ქართულად: „წმინდა გიორგის ეკლესია შაჰნაბადისა. საძირკვლადანი აღვაშენე დავით ბაურკევმა ჩემის და ჩემი მიცვალებულების სულის მოსახსენებლად ჩ. უ. მ. ე. წელსა“ (1832 წ.) აგრეთვე აქაურ საფლავების ქვებს, თითქმის ყველას, წარწერა მარტო ქართულად აქვს.

მონასტრის მოძღვარმა შემდეგი თქმულება გვიამბო ამ ტაძარზე: შავი ნაბადი ამ გორას და ტაძარს იმისთვის დარქმევია, თურმე, რომ აქ ერთ დროს ცნობილი ყაჩაღი ქორრღლი ბინადრობდა და აქედან უთვალ-თვალებდა და ზვერავდა მგზავრებს, რომელთაც ხშირად სცარცვავდა. მგზავრებიც, რასაკვირველია, დაშინებულნი ყოფილან. ერთხელ აქეთკენ მომავალ მგზავრებს შორიდან შეემჩნიათ ქოროღლი, რომელიც შავს ნაბადში ყოფილიყო გახვეული და ამ შემთხვევას, თურმე, ისე ემოქმედნა მათზე, რომ მას შემდეგ ხმა გავარდა ხალხში ქოროღლის და მის შავ-ნაბადის შესახებ და ამ გორასაც ეს სახელი დაერქვაო... არის აგრეთვე მეორე ვერსია: ეს მთა თავისი გარეგნული შეხედულობით შორიდან, მეტადრე სამხრეთიდან თუ უმზერთ—გამოიყურება შავად და ნაბდის მაგვარად.

აქედან ირგვლივ თვალს წარმტაცი სურათები იშლება—შორი-ახლოს მოსჩანს კარგა მოზრდილი კუმისის ტბა და სოფლები: დიდი და პატარი თელეთი. ნასიამოვნევი და კმაყოფილნი საღამოთი გამოვემგზავრეთ სხვა გზით—**კრწანისის ბაღებით.**

აქ კი გამახსენდა ჩვენი მწარე წარსული: 11 ენკენისთვე 1795 წელს დაუვიწყარია ქართველებისათვის! აქ ახლო-მახლო კრწანისის მიდამოებში გადაწყდა მომავალი საქართველოსი—„ბედი ქართლისა“!

აღა-მაჰმადხანი, გულმოსული ერეკლეზე რუსეთთან კავშირის დაჭერის გამო ისეთი სისწრაფით და მოულოდნელად მოადგა თბილისს, რომ „მხცოვანი არწივი“ 80 წლის ერეკლე მხოლოდ ხუთი ათასი კაცით-ღა შეებრძოლა სამოცდა-ათი ათას ძლევა-მოსილ მტერს! და აბა ჩვენები რას გახდებოდენ, ერთი თხუთმეტ-ოცათან! მაგრამ ქართველები მტრის სიმრავლეს კიდევ გაუძლებდნენ, რომ თავისიანებს არ ეღალატნათ და მტრისათვის არ ენიშნებინათ ტაბახმელიდან მომავალი გზა თბილისში, „მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა! აჰა მან იგი აწ მოიხელთა და მუხთალისა ანგართა ხელთა აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!“

მთელი ეს ვეებერთელა კრწანისის ველები ქალაქამდე გაჭღენთილია ჩვენი წინაპრების სისხლითა! აქ შეეწირნენ საყვარელ სამშობლოს სუკეთესო მამულიშვილები და მათ შორის სამასი თუშ-ფშავ-ხევსური, როგორც ერთი კაცი!!

„მრავალთ ყმაწვილ-კაცთ, ნუ-გეშთა ქართლის,
„დასდვეს აქ თავი მამულისათვის!..
აწ საფლავიცა არსად სჩანს მათ-
თვის...
მაგრამ, ჰეი გმირნო, ნუ შეშფოთ-
დებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით
განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს
დააჩნდების საშვილი-შვილოდ გარ-
დაეცემის;
ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ
დაიდუმებს, აღა-მაჰმად ხან ვიდრე
ახსენებს“.

ერმალოზ კახი.

აკაკის ცნობილი ლექსი.

შენი ჭირიმე, ხანჯალო
რკინაო ხვარასნისაო,
შენ ერთად-ერთო იმედო,
მტრისაგან გამოხსნისაო.

—

გლესავ და გლესავ, მახვილო,
ამოგიფერავ გულსაო,
შენ უნდა ეძმო და ეყმო
უმართლოდ დაჩაგრულსაო.

—

ნესტარიცა ხარ, ბასრიც ხარ,
ორივე გვერდით მჭრელიო
გპატრონობს გული ფოლადი
და გიპყრობს რკინის ხელიო.

—

მისი გამჩენის ჭირიმე
ვინც რომ შენ გამოგჭედაო;
ჭირიმე, შენი ჭირიმე
მტერს აუტირე დედაო.

—

ბევრი ნაღველი შეასვა
ურჯულომ ამ ჩემ გულსაო,
შენ მიმკურნალე, მახვილო,
უმართლოდ დაჩაგრულსაო.

—

მიმოციქული მტრის გულთან
მიუძღვენ ჩემი სალამი:
ის ვითომ საწერელია,
ჩაერჩე როგორც კალამი.

—

მისი წითელი მელნითა
შემაღებინე ჭაღარა,
იმისი კვნესა იქნება
ჩემთვის დაფი და ნაღარა.

აკაკი.

ახალი ამბავი.

✦ ჩვენს რედაქციას მოუვიდა შემდეგი გამოცემები: 1) რუსულად გამოცემული თ. მთავრიშვილის ამხანაგობის მიერ კ. მაჭავარიანის წიგნაკი „ქუთაისის გუბერნიის სამკურნალო მადნეული წყლები“; ფასი ერთი აბაზი; 2) წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამოცემა „ოჯახის პუტჯი“—საყმაწვილო მოთხრობა ეკატერინე გაბაშვილისა; ფასი ერთი შაური; 3) მეორე გამოცემა ქართულ სამეურნეო საზოგადოებისა „სასარგებლო მცენარეები“—კარტოფილი, ვ. ნახუცრიშვილის მიერ შედგენილი, ფასი ერთი შაური; 4) რუსული წიგნი იური ვესელოვსკისა „ოსმალეთის სომხეთის ტრაგედია“. ფასი ხუთი შაური.

✦ ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე ამ ჟამად გაწვეულია სამხედრო სამსახურში: დანიშნულია ციხის ჰოსპიტლის ექიმათ ქ. გუმბრში (ალექსანდრეპოლში).

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო სომხის ეთნოგრაფიულ და ისტორიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ე. ა. ლალაიანის მიერ რუსულად დაწერილი გამოკვლევა „ვანის ვილაეთის აისორები“. წიგნი გამოცემულია რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოების კავკასიის გინყოფილებისაგან როგორც ამ საზოგადოების ოცდამერვე წიგნის მეოთხე ნაწილი. წიგნში ჩართულია 19 სურათი აისორების ცხოვრების დამასურათებელი. წიგნი ღირს ორ-აბაზად.

✦ კახ. რკინის გზაზე, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, მოძრაობა დაიწყო წრეულს 14 იანვარს. ამ რიცხვიდან მოყოლებული 1 აპრილამდის, როგორც შევიტყეთ, შემოსავალი ასი ათას მანეთზე მეტი ჰქონია.

✦ დღეს, 20 აპრილს იმართება ჩვეულებრივი „გვირილობა“ ანუ თეთრი ყვავილის დღესასწაული ტუბერკულოზთან (ჭლექთან) მებრძოლ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ ჩვენმა რედაქციამ გუშინ ნიკო ლომოურის ოჯახს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „თემის“ რედაქცია ღრმადა სწუხს იმ მძიმე დანაკლისის გამო, რომელიც ხვდა წილად თქვენ, ქართულ ლიტერატურას და საზოგადოებას. ძვირფასი ნიკოს ხსოვნა არასოდეს არ აღმოიფხვრება მადლიერ შთამომავლობაში.

✦ თბ. ქალაქის გამგეობამ საქალაქო ლომბარდის გამგის გ. კაფიევის წარდგენილობის თანახმად გაანთავისუფლა ვალისაგან განსვენებულ მსახიობის კოტე მესხის მიერ დაგირავებული მისი იუბილეს დროს მიღებული საჩუქრები და დაადგინა გადასცეს ისინი ქართულ სათეატრო მუზეუმს.

✦ ამ მოკლე ხანში გაიმართება **ვაჟა-ფშაველას** დილა.

✦ 17 მაისს ქართველი მსახიობნი განსაკუთრებით აპირებენ აღნიშნონ დაუვიწყარ კოტე მესხის გარდაცვალების წლის თავი.

საქართველოს ამბები

სამტრედიის ცხოვრება.

ომმა თავის დაღი დააჩნია აქაურობასაც. ცხოვრება მოდუნდა. დღეს ველარ ნახავთ მხიარულ ადამიანს, ყველას თავი ჩაუქინდრავს და ჰფიქრობს ომზე და მის შედეგზე. დღეს სოფლდ ველარ გაიგონებთ ახალგაზდების კრიმანჭულს, ველარ შეხვდებით კოპწია გოგონებს, რომელნიც უწინ გარმონიკით და დაირით ხელში მხიარულობდენ. ზოგს მამა, ზოგს ძმა, და ზოგს ქმარი მოაკლეს და ომში გაჰგზავნეს... მწარე ქვითინი მოისმის,—ზოგს ქმარი მოუკლეს, ზოგს შვილი და ასე მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრება. სასტიკმა ომმა მეორე მხრითაც გვაგრძნობინა თავის სისასტიკე: ცხოვრება გაძვირდა, მუშახელი სოფელს მოაკლდა. სანოვაგემ ერთი ორად იმატა ფასში. ჩვენი განებრივებული ვაჭრები საზღვარს გადავიდენ კიდეც. ამათ ისეთი გამდიდრების მადა მოსვლიათ, რომ ლამის არის გაატყაონ ყველანი, განსაკუთრებით, რასაკვირველია, გლეხნი. ამღვრეული წყლით სარგებლობენ. ჩვენი საზოგადოება ჯერ-ჯერობით მხოლოდ წრიპინებს. ვინაა პატრონი, რომ ამ მძარცველებისაგან დაიხსნას იგი? ამათ არავითარი პასუხისმგებლობისა არ ეშინიათ. თუ ასე იქცევიან დაბაში, წარმოიდგინეთ ახლა სოფლად რა ხდება, სადაც ჩარჩები თარეშობენ და არავის ინდობენ. მაგრამ თანდათან ხალხმაც შეიგნო მათი ოინები. ცოტად თუ ბევრად თავს აღწევს მათ კლანჭებს, აარსებს კოოპერატივებს. აქ, სამტრედიაშიაც განიზრახეს კოოპერატიული დუქნის დაარსება, რამაც ვაჭრებს თავს ზარი დასცა. ესენი ამხედრდენ თაოსანთა წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ. წესდება უკვე დამტკიცებულია. საჭიროა მხოლოდ მოთავეებმა ჩქარა განახორციელონ საქმე.

კვირას, 12 აპრილს, აქაურ სასოფლო სასამართლოში მოხდა ყრილობა სამტრედიის საზოგადოებისა, რომელმაც იქონია მსჯელობა მამასახლისის არჩევნების შესახებ. უწინდელი მამასახლისი—დ. გელაზანია მთავრობამ რაღაც მიზეზის გამო გადააყენა, მაგრამ ის ხალხმა ამ დღეს ხელ-ახლა აირჩია. შემდეგ იქონიეს მსჯელობა სხვა და სხვა საკითხებზე, — როგორიცაა მაგ., დღეობების გადახდა და ტირილ-ქორწილების მოსპობა. დაბის ვექილმა ბ. პეტრე პავლეს-ძე გელეიშვილმა მოახსენა ხალხს დღეობები მოვსპოთო და სხვა კულტურული დაწესებულებანი გავამრავლოთო. ხალხმა სამწუხაროდ ეს არ შეისმინა.

სიმშილმა ჩვენს რაიონშიაც იჩინა თავი. ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, რომელსაც სიმინდი ნაკლებად არა ჰქონდეს. მიუხედავად ამისა სიმინდის ფასმა ისე აიწია, რომ გლეხს მისი ყიდვა არ შეუძლია. ამიტომ საჭიროა მთავრობამ და საზოგადოებამ იზრუნოს ამის შესახებ და დროზე მიაწოდოს საკვები ხალხს, რათა დიდი მსხვერპლი არ შეიწიროს სიმშილობამ...

დიდი ხანია წარმოდგენები თვალით არ გვინახავს. წარმოდგენების მმართველი სექცია არსებობდა, მაგრამ ომიანობის გამო მანაც ჩაილულის წყალი დალია. ეს ერთ თვეზე მეტია ჩამოვიდა მსახიობი დ. კობახიძე და ზედი-ზედ სამი წარმოდგენა გამართა. ადგილობრივი სცენის-მოყვარეთა დახმარებით დადგეს ავქს. ცაგარლის „ქართველი დედა“, პ. ირეთელის „ქრისტინე“ და „დამარცხებულნი“. ხალხი ყოველ წარმოდგენას ბლომად ესწრებოდა. წარმოდგენებს ურიგოდ არ ჩაუვლიათ, მხოლოდ მოკარნახე—სუფლიორი მეტად გულ-მოდგინედ გაჰკიოდა.

გაზაფხული უკვე დადგა და ეჭვი არაა ჩვენს დაბასაც ბლომად ეწვევიან ჩარჩი მეხილეები,—რომელნიც ჩალის ფასად მოინდომებენ გლეხის ნაჭირნახულევის ხელში ჩაგდებას, ამიტომ საჭიროა ხალხი მომზადებული დახვდეს და თავი არ მოატყუილებიოს.

სიცხეები თანდათან მატულობს, დაბას კი სანიტარული სიწმინდე აკლია, ამიტომ ურიგო არ იქნება სანიტარულმა კომისიამ ახლავე იზრუნოს მის გასუფთავებაზე...

ს. კ—შვილი.

მთებში

(ა მ ბ ა ვ ი)

I.

საზარელია ყოფნა ზამთრობით უიუხტაშის მთებში.. შორს, აჩიგინდიუზის მაღლობებიდან განუწყვეტლივ უბერავს ციცი ქარი და საშინელ ბუქს აყენებს; შეუძლებელს ჰბდის გავლას იქით, მაგრამ ჯარი შეუპოვრად ჭლახავდა მის კალთებს დიდი გაჭირვებით ოსმალეთისკენ.

თუმცა ჩაფუთვნილები იყვნენ თბილად მაგრამ მწვავე კბენა მთის სიცივისა, რომელიც ამოსუნთქვისას ორთქლს ყინულის ლოლოებად ჰკიდებდა წვერულვაშებზე, და აწითლებულ-გალურჯებულ სახეზე მიყრილი ნამქერი თვალებში ცრემლებს ადენდა. გაყინულ ფერდოებზე დასხლტომილ ფეხს ძლივს იმაგრებდნენ.

ამ ჯარს დავალებული ჰქონდა დაეცვა მტრისაგან მარჯვენა ფრთა იმ ჯარისა, რომელიც იყო წასული აზრუმისაკენ ქეპრიკეი-ჰასან-ყალას გზით. ნაბრძანები ჰქონდა, რადაც უნდა დასჯდომოდა აეღო აჩიგინდიუზის მწვერვალები.

ტყვია სეტყვასავით მოდიოდა, თოფების ტკაცა-ტკუცი ქარის გრიალში არ ირჩეოდა, მაგრამ ზარბაზანთა ჭექა-ქუხილი მთა ბარსა სძრავდა გრგვინვით.

გულ-განგმირულნი მეომარნი, მთით დაქანებულნი ტიალ ხევ-ხუვში სცვივოდენ და უკანასკნელ ოხვრასთან ერთად სამარად-ჟამოდ ეთხოვებოდენ წუთი სოფელს მიუვალ მთებში, უჭირისუფლოდ. ისმოდა კვნესა უპატრონოდ დატოვებულ დაჭრილ დასახიჩრებულთა. იღვროდა სისხლი განუწყვეტლად და აქ ხშირ წყარო-ჩანჩქერთ, აწ გაყინულთ, წითელ ზოლებად ზედ ეხვეოდა; იღებებოდა ფიფქი თოვლი..

შორით არეზი, — თითქოს ჯავროგსო—აღქაფებული მოშხუოდა და ყინულის ბელტებს მოაქანებდა.

ბინდი ნელ-ნელა ახლოვდებოდა და თალხ ჩადრს აფარებდა თეთრად გადაპენტილ არე-მარეს. აქა-იქ ისმოდა სერზე გადმომდგარ ნადირთ-ამრეზელნი ყმუილი...

II

ღამეა... ქარი კვლავ დაძრწის გზაკვალ აბნეული, ოხრავს და ქშუის. ღამის სიბნელით გარემოცულ ტყიან მაღლობზე არარა მოსჩანს... სიმშილსიკვდილი მხარ და მხარ რბიან ყოველ მხარეს და სანგრებში ჩასაფრებულთ მმუსვრელი ცელით არ აკლებენ მზრუნველობასა.

განდევნილ თურქთა ადგილზე რუსთა მხედრობაა დაბანაკებული. მოწინავე სადარაჯო მინდობილი აქვს ახალ გაზრდა ოფიცერს—არჩილს ასეულ ჯარის-კაცით. ის, თოვლის ზვინთან ჩასაფრებული, რამდენადაც ამინდ-გარემოება ხელს უწყობდა მარდად ადევნებდა თვალყურს, პატარა მდინარის გაღმა, სადაც უკან დახეულმა მტერმა მოუყარა თავი გაფანტულ ძალებს. მოვალეობასთან ერთად ფიქრი, საიდუმლო ახალგაზრდულ ლტოლვიდებათა გარს ეხვეოდა: ერთი თვე იყო მას შემდეგ, რაც ჯვარი დაიწერა მშვენიერ არსებაზე, რომელსაც თავის სიყვარული ფიანდაზად გაუშალა და რომელიც თან წამოჰყვა სათნოების დათ: „სადაც შენ, იქაც მე“—უთხრა მან ქმარს, როდესაც იგი გამოჰგზავნეს ბრძოლის ველზე.

ოჰ, რა კარგია და აღმაფრთოვანებელი ვაჟ-კაცისთვის სატრფოს-მიერ ნათქვამი ესე სიტყვები, როს მიდის სადმე მძიმე საქმის შესასრულებლად!

ძალიან სწუხდა: „ვაი თუ ამ ვერაგ მხარეში გამიცივდეს და სიყვარულის მსხვერპლი შეიქმნეს, უდროოდ ჩამიმწაროს სიცოცხლეო“. ესე ფიქრები ებადებოდა, რადგანაც ყოველ წუთს თვალებში უცქეროდა სიკვდილი ადამიანს ამ ხრიოკ მიდამოში.

... და ეჭვები ხომ მოსვენებას არ აძლევდა, როგორც შეყვარებულის განუყრელი თანამგზავრი: „იქნება ეხლა, როს მე მასთან ახლოს არა ვარ, ჩემი ქეთო, როგორც ქალი, სუსტი არსება, ალერსის მოტრფიალე ვინ იცის, ვის უღიმის თავის მომხიბლველი სახით?!“ თანაც თავის თავს არ უჯერებდა და ამტყუნებდა, რომ ქეთო მას არავისზე გასცვლიდა და ის-კი... ეჭვის ფრთებზე დაყრდნობილი კვლავ შორს იტყორცნებოდა.

ამ განცდაში, რომ იყო, მზვერავი დარაჯი მიეცოცდა მასთან და შეატყობინა, რომ დაბლობებიდან ფლატეებზე ვიღაცეების აჩრდილები მობობღავენო. არჩილი საჩქაროდ მივიდა ნაჩვენებ ადგილს და დარწმუნდა სიმართლეში, რომ მართლაც ერტყმოდენ გარს იმ ადგილებიდან, საიდანაც სრულიად არ მოელოდენ. შეუძლებელი იყო მათი რიცხვის გაგება სიბნელის გამო, მაგრამ ეტყობოდა-კი, რომ მრავალნი იყვნენ.

ესენი იყვნენ ქურთნი სამშობლო მთა-გორებს შეჩვეულნი და გზა-კვალის კარგი მცოდნენი.

ერთი კაცი მსწრაფლ აფრინა მაშველი ჯარისათვის. დანარჩენებით-კი მოემზადა დასახვედრად. ისინი თანდა თან ახლოვდებოდენ. ცდა აღარ შეიძლებოდა და არჩილის ბრძანებისამებრ იგრიალეს თოფებმა, რომელთა ხმაურობასაც ქარმა ზუზუნით,—ვითა მაყრული—შიგ ჩაურთო თვის ვალალება. მოისმა კვნესა შესაბრალისი... მაინც მოიწევდენ წინ. წითელმა ენებმა კვლავ იელვეს და გაანათეს წუთიერად იქაურობა. წყევა-კრულვა უბედურთა მიმოეფინა წიაღს... ცოტაც და... ხელ-ჩართული ბრძოლა გაჩაღდ. ხმალი-ხიშტთ ჩხარუნი ყურს აყრუებდა. ვინ ვის არტყავდა, ველარ არჩევდენ; და ვაი მის დედას, ვისაც წილად ხვდა ფრიალო კლდიდან ცოცხლადვე ძირს გადაშვება. საყვავ-ყორნედ გადაქცეულნი ხრამ-უფსკრულებში სცვიოდენ...

მაშველი ჯარის კიეინამ თავ-ზარი დასცა მოსეულთ.

III

განთიადიც მოახლოვდა.

ყარაურგანთან დაცემულ მინდორზე კარავი იყო გაშლილი, რომელზედაც ფრიალებდა წითელი ჯვრის თეთრი ბაირაღი.

ეს იყო საველე საავადმყოფო, სადაც პირველ საექიმო დახმარებას უწევდენ დაჭრილთ და დაავადებულთ. აქ იყო სხვათა შორის ქეთოც... ის თუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცა მუშაობდა ერთგულად, მაგრამ ვაგლახ ამ ყოფნას! დარდი საყვარელ არჩილზე არა შორდებოდა. ერთი კვირა იყო, რაც აღარაფერი გაეგო მის შესახებ ამბავი.

დაჭრილნი განუწყვეტლად მოჰყავდათ. ყოველ დაჭრილს გულის ფანცქალით მივარდებოდა ხოლმე და ათვალიერებდა, რომ არჩილი ხომ არ არისო, და რა ვერ ნახავდა, დამშვიდებოდა; მაგრამ სევდა კვლავ შეჰპოჭავდა: „იქნება მომიკლეს?... არარა ისმის იმაზე. რომ არ ვიცი სად გაგზავნეს! ნეტა გამაგებინა რომელ მხარესაა, იყო ბრძოლაში თუ არა!“ ქეთოს ფიქრთა სალაროს არა შორდებოდა მტანჯველი აზრები... მაგრამ არ იმჩნევდა, რომ თანამოსამსახურეთ გულჩვილობა არ დაეწამათ. მოუსვენრად იყო, გული უკვნესდა, არ იცოდა, რა ექნა...

ბრძანება მოვიდა საექიმო რაზმის მოთხოვნისა მთებში. საჩქაროდ შეაგროვეს ოცამდე კაცი და წავიდნენ; ბევრსაც სურდათ წასვლა ზოგიერთებს, მაგრამ არ მიჰყავდათ, რადგანაც შორი გზა იყო გასავლელი და აუტანელი ამინდი. როგორც იქნა დაითანხმეს უფროსი და ხუთი დაც წაიყოლიეს. ამათში ქეთოც ერია. მოედვნენ მთებს გაფანტულნი. რკინის გული უნდა ჰქონიყო მაყურებელს, რომ თვალში ჩაფლულ ავადმყოფთ, ხელფეხ დაძრულთა და დაჭრილთა კვნესისათვის ეგდო ყური და ეცქირნა მათი ცოცხლად დასამარებისათვის. აქა-იქ ეყარა ნადირთაგან დაფლეთილ-დახრული ძვლები ადამის ძეთა. ყორნები ზემოდან დაყრანტალებდენ თავიანთ წილ ხვედრს... იწამლებოდა მათი ჩხავილით განწირულთა სენა.

გზების გაწმენდა თითქმის ყოველ ნაბიჯზე უხდებოდათ და ნიჩაბ-წერაქვებით მოედვნენ და შეუდგნენ საქმეს. მრავალგან იყო გადახირგული გასავლელები ზემოდან დაგორებულ, დამსხვრეულ ზარბაზნებით და ურმებით. დახოცილ ცხენების ლეშთა ხროვები მრავლად ეყარა. მკვდართა სამეფოს უხვად აფარებდა თოვლი თავის კალთას. თანა ჰყავდათ რამდენიმე დაგეშილი ძაღლებიც, რომელნიც ისეთ ადგილას დაიწყებდნენ ხოლმე ყნოსვაყეფას და თხრას მოგროვილ ნამქრისას, სადაც ვერ ჩასწვდებოდა კაცი. სათნოების და-ძმანიც დიდის მოხერხება-ალერგებით იტანდენ ყოველივე სიძნელეს და პირუტყვთა-მიერ ნაჩვენებ მდებარეობას მიაშურებდენ, საიდანაც მართლაც ამოჰყავდათ ცოცხალ-მკვდრები. ვინ უწყის, რამდენი დარჩა მიუგნებელ-ამოუყვანელი.

ამასობაში ქეთომ კითხვა-კითხვით გაიგო, რომ ის ნაწილი ჯარისა, რომელშიაც არჩილი მსახურებდა — მთის მწვერვალზე იბრძოდა და არავინ იცოდა, რა მოუვიდა არჩილის ასეულს უფროსითურთ. იცოდენ მხოლოდ ის, რომ წინა ღამეს მტერი თავს დაეცა და სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება მოხდა. უნდოდა შეეტყო სინამდვილე, მაგრამ მთხრობელი არავინ სჩანდა. გაიგო აგრეთვე, რომ პოლკის — სადაც არჩილი მსახურებდა — ძალიან დაზარალება სხვებთან შედარებით, მაგრამ ბრძოლულ მტერს მაინც დასდევნებოდა ფეხდაფეხ. ქეთოს მუხლები ეკვეთებოდა დაღლილს მოუთმენლობით... თითქმის ყოველ ცოტათ ამაღლებულ ბუჩქნარ ადგილებს შინჯავდა.

ქარი აღარა ჰქროდა წინა-ღამისაგან მწვავედ, და მძებნელთაც უადვილდებოდათ მუშაობა. ქეთო თავისდაუნებურად ძალიან დაშორდა სხვებს. ის თითქმის მიუვალ ფერდობებს მიუალოვდა და ქედზე ავიდა. ყველგან შემაძრწუნებელი სურათები ეშლებოდა: მკვდრები, დაჭრილები, რომელნიც დროზე უწამლელობით და სიცივისაგან მოკრუნჩხულიყვნენ.

მთელი დღე ეძებდა ასე. გული უცნაურად უცემდა... თითქოს გრძნობდა რაღაც უბედურებას; მძიმე ლოდივით დასწოლოდა სევდა და უჩინარ მატლივით ღრღნიდა ძალ-ღონეს გულს მოწოლილი იდუმალი თქმა. თითქმის დაავიწყდა კიდეც ამხანაგები აღარ ახსოვდა მთელი დღის უქმელუსმელობა... ვინც ნახა დავრდომილნი და მკვდარნი, უმეტესობა ნაცნობ ბოლკის ნიშნებიანი იყვნენ. საეჭვო აღარ იყო, რომ დიდი ბრძოლა მომხდარიყო ღამე. „ოჰ! არჩილ, ჩემო არჩილ! სადა ხარ, სადა?! ცოცხალი ხარ თუ მიბნელებ დღესა!“ დაღალულ-დაქანცული ამ სიტყვების გოდებით დაეშვა ძირს, ტირილით. სჩიოდა ბედს. წინად, როდესაც თავის ქვეყანაში იყო, ცხედარის გასვენების დროს თვალებზე ხელებს აიფარებდა და ისე გაივლიდა. ეხლა-კი შეეჩვია ასეთებს; აღარ აშინებდა მათთან მიახლოვება და შეხებაც-კი. ბევრი რამ შესძლებია შეჩვევას... მაგრამ შიშის ზარს დიდი გავლენა აქვს ადამიანზე. და ქეთოც, როს მარტოდ დარჩენილი უყურებდა საზარელ სანახაობას, — ერუანტელი უვლიდა ტანში. აქ დარჩენა შეუძლებელი იყო; ძოიკრიბა ძალ-ღონე და დააპირა უკან გამობრუნება, მაგრამ თითქოს ვიღაცამ წაჰკრა ხელიო, — კვლავ მიტრიალდა და რამდენიმე ნაბიჯი რომ გადასდგა, მოესმა იქვე ახლო მანძილიდან ხრიალი და დროგამოშვებითი სტვენა მისუსტებულის ხმით პატარა ლითონის საყვირისა, რომელიც ყოველ რაზმის უფროსს აქვს თანა სხვა დანიშნულებათა-შორის სანიტართა ყურადღების მისაქცევადაც.

ქეთო აქამდის არად იმჩნევდა კიდევ შიშსა, მაგრამ ეხლა კი რაღაცა ულმობელმა შეიპყრო. მას თან უნდოდა მისვლა და თან ვერ ბედავდა და შეშინებულ თვალებს ირგვლივ მიმოავლებდა. დააპირა მოხმობა ამხანაგებისა და ხმა ჩასწყდომოდა, ენა არ ემორჩილებოდა. სტვენა მისწყდა და მხოლოდ ხრიალი-ღა აღწევდა ქეთოს ყურს. დაყოვნება არ შეიძლებოდა. გადაისვა უკანასკნელად შუბლზე ხელი, თვალები ამოიფშვნიტა, თითქოს ძილისგანა ჰლამობს გამორკვევასაო. — და მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ზედი-ზედ ეყარა რამდენიმე გვამი ორივე მოპირდაპირისა და მათ შორის ცოცხალ-მკვდარ არჩილისაც, რომელიც საშინლად იტანჯებოდა ტკივილებისაგან და ნერწყვ გამშრალი მწყურვალე, თოვლს დასწაფებოდა, მაგრამ ღონე აღარ შესწევდა პირი გაესვენებინა. ზედ ჯვარედინად გადასვენოდა ქურთთა მკვდარ ბელადს, რომელსაც ერთ ხელში ხმალი მოემარჯვებინა — თითქოს ვისმეზე იწევს მარადო და მეორეთი კი ნახევარ-მთვარიანი წითელი დროშა, ოქრო-მკედით მოქარგული გულში ჩაეკრა, ეტყობოდა ძალზე შეჰხლოდენ ერთმანეთს, რომ მომაკვდავი კვლავ ეპოტინებოდა დროშის წასართმევად და ხმალზე ხელს უვლებდა. თავისი ხმალი და რევოლვერი კი იქვე ეყარა. ქეთო თავის თვალებს არ უჯერებდა, მაგრამ ეს სიზმარი არ იყო, ცხადად ჰხედავდა... ერთი გულსაკლავად შეჰკივლა ფერ-გადაკრულმა და მივარდა არჩილთან. სისხლის გაყინული გუბეები იდგა; შიგ იფლობოდა ქეთო, მაგრამ ვერასა გრძნობდა. ზედ დაემხო ცრემლთა ფრქვევით საყვარელს, რომლის მომაკვდავი ტუჩები ძლივს ბუტბუტებდენ: „ქეთო... ქეთო“... სასიკვდილოდ დაჭრილი თავში უკანასკნელ ჟამს ქეთოს იგონებდა, და რა იცოდა თუ ის, ასე ახლოს იქნებოდა! ქეთო-კი ნახევრად გონება არეული უშინჯავდა ჭრილობებს; ჰკოცნიდა, ანჯღრევდა... უნდოდა ხმა ამოეღებინებინა, უძახდა... ალერსიანის ხმით, ენით ესაუბრებოდა, ეუბნებოდა: „არჩილ! საყვარელო... გენაცვალოს შენი ქეთინო. აქა ვარ შენთან, მომხედე, მომხედე... ერთხელ, მხოლოდ ერთხელ. მითხარი რამე. ნუ მტოვებ მარტოდ... აბა! ასე, ასე მოიხედე... ოჰ, ოჰ... არჩილ!“ მომაკვდავმა გააღო მილულილი თვალები, თითქოს რაღაც ღიმილის მზგავსი აუთამაშდა სისხლით მოსვრილ სახეზე. ხმას თუმცა ვერ იღებდა, მაგრამ ქეთოს ხელები დაუჭირა, და მიიდო გაცრეცილ ტუჩებზე. თითქოს ამას-ღა ელოდებოდაო, — ერთი გააჟრჟოლა და უკანასკნელი ოხვრაც აღმოხდა. ქეთო შეშლილივით ხან სტიროდა და სახეს იკაწრავდა, თმებს იგლეჯდა, ხან კი სიცილით არჩილს ულვაშებზე უსვამდა ხელებს და ეთამაშებოდა... იმას არა სჯეროდა ნახული, არ უნდოდა მართალი ყოფილიყო, ვერც კი წარმოედგინა, რომ უნდა განშორებოდა არჩილს.

„ახ! ნეტავი სიზმარი იყოს, სიზმარი და მოჩვენება. ღმერთო დიდებულო! ნუ გამიმართლებ ნახულს, დაიცავი შენგნით გაჩენილი შვილი!“ ამბობდა ქეთო გამწარებული. ჰკიოდა, იხმობდა მშველელთ, მაგრამ არავინ სჩანდა, პასუხს მხოლოდ დუმილი აძლევდა...

IV

ამასობაში დაღამდა კიდეც. დროებით მიყუჩებულმა ქარ-ბუქმა კვლავ აუშვა აფრა. მგელთა ცეცხლის მფრქვევი თვალები აბრიალდენ. გაღმუვლ-გამოღმუვლეს გაღმა-გამოღმით. ქეთო შეშინებული დგება ზეზე, გაჰკივის კვალად; თითონაც აღარ ესმის, რას სჩადის: ეხლება აქეთ-იქით, იმტვრევს თავ-პირს და კვლავ ეცემა სასო-მიხდილი, ღონე წართმეული. თან და თან სუსტდება და კანკალებს აუტანელ სიცივეში. თვალთ უბნელდება, ველარაფერს ჰხედავს. ყინვა მის ნორჩ სხეულს მალე ერევა, იპყრობს, სუნთქვა უმძიმს, ბურანში ტოპავს. გონების თვალ-წინ რიგ-რიგათ მიჰქრიან მოგონებები: სიყრმე, აღზრდა სასწავლებელში, ახალ-გაზრდული ნეტარების წუთნი... არჩილის გაცნობა, სიყვარული, პირველი კოცნა, ჯვრის-წერა. აი, აგარაკი ცად აწვდენილ ფიჭვ-ნაძვნარის ტყეებით; აგერ მდინარე... აჰა, ის კორდი წყაროს-პირას, სადაც მათ შეჰფიცეს ერთმანეთს სიყვარული სამარის კარამდის. ჰხედავს, თუ არჩილი როგორ იწვენს მკლავზე და ჰკოცნის, ჰკოცნის, სულ ჰკოცნის! ვიდრე მკერდზე არ მიეყრდნობა მნდობილი ქეთო, და ფუნთუშა ხელებს კისერზე არ შემოჰხვევს. ოჰ! რა ტკბილია წარსულ ბედნიერების მოგონება, მაგრამ მსწრაფლ ჰქრება ვითარც ლანდი მოჩვენებისა...

ქარ-ბუქი თავისას არ იშლის და ახვევს ცივ მანტიაში. ქეთოს სურს ნახვა თავისიანების, მშობელთა-ნათესავთა. აი, თითქოს უკვე ამჩნევს კიდეც მათ მოწყენილ სახეებს; ისინი სტირიან, რადგანაც ქეთო არ იშლის წასვლას ომში ქმართან ერთად, „აჰ! ნუ მიყურებთ ეგრე, ნუ!“ ყვირის ქეთო და თან არჩილს ეხვევა თითქოს ემუდარება: „ნუ დამტოვებ, თან წამიყვანეო“. ქეთოს ეძინება; ეძინება ტკბილის ძილით; ის ველარა გრძნობს სიცივეს, ტანჯვას. ნამქრის ყოველი შეხება სიამოვნების ნექტარად ევლინება. აღარაფერი ახსოვს! მხოლოდ ძილი და ძილი... მაგრამ ელი რსება კვლავ ვაღვიძებს?..

V

მეორე დღეს სანიტარებმა იპოვეს ქეთო, — მკლავზე წითელ ჯვრით არჩილზე შეყინული; რომელთაც თოვლი — თითქოს ისიც-კი ზრუნავს სატრფო-მიჯნურისთვის და ჰსურს დაიცვას ყოველივე ავ-სულთა შეხებისაგან. — მფარველად ზედ დაჰყროდა. ქარიკი „სულთათანას“ ეუბნებოდა.

ხ. ერთაწმინდელი.

აღმოსავლეთის ლიტერატურა

IV. ეგვიპტე.

ეგვიპტელების კულტურა განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა ამ რამდენიმე ათასის წლის წინად. ეგვიპტელთა მწერლობის უძველესი ნაშთები ჰმოწმობენ ნათლად იმ მაღალ სულიერ კულტურის შესახებ, რომელიც მათ ჰქონდათ და რომლის წინაშე უნებლიედ ჰგრძნობს ყველა დიდ მოწიწებას. მეცნიერებს გადასინჯული აქვთ ეგვიპტელების პაპირუსები, რომელზედაც ბევრი რამ საგულისხმო დაწერილი ჰქონდათ მათ. ამ მსწავლულთა მოწმობით ეს პაპირუსები წარმოადგენენ მეცნიერულ შრომას.

ერთ დროს ჰფიქრობდენ, რომ ეგვიპტელებს სხვა პოეზიის ნიმუშები არ მოეძებნებათ, გარდა ზოგიერთ ჰიმნებისა, რომელთაც ისინი მღეროდენ სხვა და სხვა ჩვეულებათა და წესთა შესრულების დროს. ახლა კი გამოკვლეულია, რომ მათ ჰქონდათ აგრეთვე დიდი ეპიკური თხზულებანი. ამას ჰმოწმობს თვით ჰეროდოტეც. ამ ჟამად ნაპოვნია აგრეთვე რამდენიმე პაპირუსი, რომელნიც შეიცავენ პატარ-პატარა ამბებს. ეს ამბები სადა შინაარსისა არიან და სინამდვილეს არ ჰღალატობენ, ამავე დროს ამ ამბებში ცხადად გამოსჭვივის მიდრეკილება სიმბოლიზმისაკენ.

ცნობილია, რომ ეგვიპტელები დიდის პატივით ეპყრობოდენ პირუტყვებს, ამიტომ მათ განვითარებული აქვთ ძალიან ამ დარგის ეპოსი, რომელშიაც უმთავრესად გამოყვანილი არიან პირუტყვები. ნაწარმოებნი უფრო იგავ-არაკებს წარმოადგენენ. ამ იგავ-არაკებიდან ცნობილია, მაგ., „ლომი და თაგვი“.

ეგვიპტეს მკვლევარებმა იპოვეს მრავალი ხოტბა-ჰიმნი, რომელიც მიძღვნილია მზისადმი, განსაკუთრებით დიდებული ჰიმნები, რომელნიც მიძღვნილი აქვს უმაღლეს ღვთაებას „რა“-ს. ეგვიპტელებს ჰქონიათ აგრეთვე საგალობლები მიცვალებულებისადმი მიძღვნილი. მრავალი ამ საგალობელთაგანი ნაპოვნია ამ ჟამად.

ძველ ეგვიპტეს მწერლობაში მოიძებნება დრამის შთანასახიც. ეგვიპტელებს ჰქონდათ ერთი ჩვეულება: საფლავში ჩაატანდნენ ხოლმე მიცვალებულს ეგრედ წოდებულ „მიცვალებულთა წიგნს“. სწორედ ამ წიგნებში, სადაც დიალოგიური სახით ნაამბობია სულის მოგზაურობა და მისი განსამართლება, მოსჩანს ნიშნები მომავალი დრამისა.

V. ასურეთ-ბაბილონია.

ასურელ-ბაბილონელები წარმოადგენენ უძველეს სემიტურ ხალხს. ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტა ვიცით მათ ცხოვრებასა და შემოქმედების შესახებ. მართალია ბაბილონელების ლურსმებრივი წარწერათა შესწავლამ, რომელიც წარსული საუკუნის მეორმოცდაათე წლებიდან დაიწყო, ძალიან წაიწია წინ, მაგრამ მაინც მთლიანი წარმოდგენის შედგენა შეუძლებელია ამ ხანადნაპოვნი საბუთები უფრო ისტორიასა და ხელოვნებას შეეხება. ნინევიისა და ბაბილონის ნანგრევებში იპოვეს მრავალი აგურისა და ქვის ნაჭრები, რომელზედაც აღმოაჩინეს აუარებელი ლურსმებრივი წარწერები. ეს წარწერები წარმოადგენენ უმთავრესად საგალობლებს, ლოცვებს, შელოცვებს ან სიყვარულის სიმღერებს. ზოგიერთებზე კი აღმოაჩინეს ერთი დიდი მოთხრობის ნაწყვეტები. ეს მოთხრობა ცნობილია როგორც „თქმულება ნიმვროდის შესახებ“ და თავის შინაარსით მოგვაგონებს ბერძნულ თქმულებას ჰერაკლეს შესახებ. ამ თქმულების ცალკე ნაწყვეტებიდან ცნობილია „ასტარტეს თავგადასავალი ჯოჯოხეთში“, თქმულება წარღვნის შესახებ, რომელიც, უეჭველია, საფუძვლად დაედო დაბადების თქმულებას, აგრეთვე ამბავი ქვეყნიერების გაჩენის შესახებ და სხვ.

ბაბილონურ სიმღერებსა და ლექსებს უფროს ერთ შემთხვევაში აქვთ ორტაეპიანი სახე. მეორე ტაეპი იმეორებს ან იმავე, ან რამდენადმე შეცვლილ სახით აზრს, რომელიც გამოთქმულია პირველ ტაეპში. ეს ერთგვარი პარალელიზმია, რომელიც შეადგენს თვისებას ეგვიპტურ ლექსებისასაც. ასურელ ბაბილონელების კულტურამ და აგრეთვე პირველ მეზღვაურების ფინიკიელების კულტურამაც (ამ ორსავე ერს დაახლოვებული ურთიერთობა ჰქონდათ) ძლიერი გავლენა იქონიეს მთელს წინა-აზიაზე და მის გარედაც.

ძ. — ძ.

„თმეის“ ფოსტა.

სოფ. ალაგირი. ბ. პეტრე მეტრეველს. თქვენი წერილი რედაქციის მიმართ მივიღეთ. რადგანაც წერილი შეიცავს შეკითხვას, მიმართულს ერთ ცნობილ პირისადმი, ჩვენ ვარჩიეთ პირადად გამოვკითხოთ მას. ეს გზა უფრო მიგვიყვანს მიზნამდის. უკეთუ არა გამოვიდა რა, წერილს მაშინ დავბეჭდავთ.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულისწვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადული წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში — გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა № 5.

Дозволено военной цензурой.